პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 96 (7657)

20 მაისი
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ნომერში:

ველოსპორტის მუ[illegible]

მარტის თვესავით ჭირვეული კალენდარი
(მე-3 გვ.)

სისწრაფის მოყვარულებო, იჩქარეთ რუსთავის 21-ე კილომეტრისკენ
(მე-4 გვ.)

სკეიტბორდის დებიუტი
(მე-4 გვ.)

შეხბურთის დიდი დღესასწაული
(მე-4 გვ.)

ოლიმპიური იდეალები წმიდათაწმიდაა

უაზრობაა რეკორდები შანტაჟის ატმოსფეროში

ოლიმპიურ თამაშებს ვერც ერთ სხვა შეჯიბრებას ვერ შეადარებ. ოლიმპიადა მშვიდობისა და მეგობრობის ზეიმია უწინარესად. და რაკი ეს ასეა, მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის გულისწყრომას იწვევს ამერიკელ ხელისუფალთა ამგვარი უცერემონიო დამოკიდებულება ოლიმპიური ქარტიისადმი, თამაშების უწმიდესი იდეალებისადმი, ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთთანამშრომლობისადმი.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ მზად იყო თამაშებისთვის, სპორტსმენებსა და ოლიმპიადის სანახავად ჩამოსულ სტუმრებს ჰპირდებოდა, რომ ყველა პირობას შეუქმნიდა კულტურული დასვენებისათვის, აძლევდა უშიშროების გარანტიას. ახლა კი ცხადი გახდა: შეერთებული შტატები საბრძოლო მზადყოფნაში ხვდება ოლიმპიელებსა და სტუმრებს. ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფები ყოველნაირად შეეცდებიან ხელი შეუშალონ სოციალისტური ქვეყნების მიერ წარგზავნილ სპორტსმენებს.

მაგრამ მუქარით ვერ შეგვაშინებენ! გულახდილად გითხრათ, უაზრობაა რეკორდები დაამყარო იქ, სადაც პატივს არ გცემენ, გემუქრებიან, ერთი სიტყვით, სადაც მტრობის, ბოროტებისა და შანტაჟის ატმოსფეროა.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა ბევრს დაკარგავს საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობის გარეშე. ამერიკელები კი, როგორც ჩანს, არად დაგიდევენ ღირსეულ მეტოქეთა ჭეშმარიტად რაინდულ ბრძოლას. ამერიკის ადმინისტრაციამ უარყო კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი, უმშვენიერესი სპორტული ღონისძიება ოლიმპიური თამაშები. მე, ძველი ოლიმპიელი, ვიწონებ და მხარს ვუჭერ საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას მონაწილეობა არ მიიღოს XXIII ოლიმპიურ თამაშებში. დარწმუნებული ვარ, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა, მათ შორის ამერიკელები, სწორად შეაფასებენ გადაწყვეტილებას, რომლის მიღება ამერიკის ადმინისტრაციამ გვაიძულა. ჩვენ წინანდებურად ერთგული ვრჩებით ოლიმპიზმის ნათელი პრინციპებისა, თვალისჩინივით ვუფრთხილდებით ყველა კეთილშობილურ ადამიანურ გრძნობას, რომელიც საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებს ერთმანეთთან აკავშირებს. გვჯერა და გვწამს მომავალი შეხვედრებისა სპორტულ სარბიელზე, სადაც გაიმარჯვებს ჭეშმარიტად ღირსეული.

რობერტ შავლაყაძე,
რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო სპორტის კომპლექსში გრძელდება VI ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. გუშინწინ აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ საქართველოსა და რუმინეთის ნაკრები გუნდები. ისინი ძველი მეტოქეები არიან და მარტო თბილისის ტურნირში ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ამ ოთხ მატჩში ორი მოიგეს მასპინძლებმა, ორჯერ კი რუმინელმა წყალბურთელებმა გაიმარჯვეს. თუნდაც ამიტომ, გუშინწინდელი შეხვედრა დაძაბული და საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ჩვენ მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება

მართლაც თამაში მეტად აქტიურად დაიწყო. პირველივე წუთზე უნგურიანუმ გახსნა ანგარიში — 1:0, მერე ხაჯიუმ ზედიზედ გაიტანა კიდევ ორი გოლი.

ვლად ხაჯიუს, რუმინეთის გუნდის ცენტრალურ თავდამსხმელს, კარგად იცნობენ ქართველი წყალბურთელები. მან ორჯერ მოიპოვა ჩვენი გაზეთის პრიზი, როგორც საუკეთესო ბომბარდირმა. ხაჯიუ ტანად 180 სანტიმეტრია (ესე იგი, თუ წყალბურთის საზომით მივუდგებით, მაღალი არ ეთქმის). არც სხვა მხრივ გამოირჩევა განსაკუთრებული სპორტული აღნაგობით, მაგრამ ჰკვიანური თამაში, მახვილგონივრული ტაქტიკა ყველა ნაკლს ანაზღაურებს. ხაჯიუ მეტად მოძრავია, ბევრს, დაუღალავად „მუშაობს“ წყალში, მეტად ძლიერად ურტყამს.

მეორე პერიოდში სწორედ ხაჯიუმ გაიტანა მეოთხე და მეხუთე გოლები. ჩვენი გუნდიდან პირველი საპასუხო ბურთი გაიტანა თავდამსხმელმა თამაზ კურტანიძემ— 1:5. ამას მოჰყვა უნგურიანუს მეექვსე ბურთი და გია ზუმბულიძის საპასუხო გოლი. მერე ისევ გორდანუმ შეაგდო ბურთი და ანგარიში გახდა 2:7. ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა სხვაობა ისევ შეამცირა 3:7, მაგრამ მოიჩანუმ მერვედ აიღო თბილისელთა კარი და ამგვარად, მეორე პერიოდი დამთავრდა ანგარიშით 3:8.

მეოთხე პერიოდში ქართველი წყალბურთელები გააქტიურდნენ. ორი გოლი გაიტანა დავით რურუამ, ერთი — კახა კანდელაკმა, ამას სტუმრებმა (ხაჯიუ) ერთი ბურთით უპასუხეს. მეოთხე პერიოდში ქართველი სპორტსმენები ისეთი აღმავლობით თამაშობდნენ, წყალბურთში ხუთი პერიოდი რომ იყოს, უთუოდ შეძლებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ ამ თამაშის წესები მხოლოდ ოთხ პერიოდს გულისხმობს და ამიტომ შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 9:6 რუმინეთის ნაკრების სასარგებლოდ.

გუშინ საქართველოს წყალბურთელები, რომლებიც საღამოს კუბაში გაფრინდნენ, საბერძნეთის ნაკრებ გუნდს შეხვდნენ. უნდა ითქვას, გამგზავრების მოლოდინს ოდნავაც არ უმოქმედია ჩვენი გუნდის თამაშზე. მატჩი დამთავრდა ფრედ — 10:10.

აი, როგორ წარიმართა თამაში: შეხვედრის მე-5 წუთზე ანგარიში გახსნა გიორგი კოლუაშვილმა. ამას მოჰყვა დავით რურუას გოლი — 2:0. სტუმრებიც უტევდნენ ჩვენი გუნდის კარს, მაგრამ საიმედოდ, დამაჯერებლად თამაშობდა მეკარე მიხეილ გიორგაძე. მეორე პერიოდში ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ იზრდებოდა. ზუმბულიძემ, ბალათურიამ და კოლუაშვილმა სამი ბურთი გაიტანეს. ამას სტუმრებმა ორი გოლით უპასუხეს.

...მეოთხე პერიოდისთვის ჩვენების უპირატესობა მინიმუმამდე შემცირდა — 7:6. მეოთხე პერიოდის პირველსავე წუთზე არონისმა გაათანაბრა ანგარიში. ჩვენმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს ბერძნების გუნდის ლიდერს — ორმეტრიან „მძიმეწონოსანს“, თუმცა მისი შესაძლებლობები წინა შეხვედრებიდან მათთვის კარგად იყო ცნობილი. ამ პერიოდის მესამე წუთზე არონისმა დააწინაურა თავისი გუნდი. კანდელაკმა გაათანაბრა ანგარიში — 8:8. შემდეგ „ბურთები გაცვალეს“ იანოპულოსმა და ნიკოლაიშვილმა — 9:9. თამაში განსაკუთრებით გამწვავდა ბოლო წამებზე. თამაშის დამთავრებამდე 17 წამით ადრე მუდანიოსმა გაიტანა გოლი, რომელიც შეიძლებოდა გადამწყვეტიც გამხდარიყო — 9:10, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ორი წამით ადრე ზუმბულიძემ გაათანაბრა ანგარიში — 10:10. ასე, ბოლო წამებზე დასჭირდა საქართველოს ნაკრებს ბრძოლა თამაშის ფრედ დამთავრებისათვის, თუმცა თავიდან, როგორც ვთქვით, გამარჯვებაზეც თამამად შეიძლებოდა ფიქრი.

საბერძნეთის ნაკრებს ქართველი წყალბურთელები ამ შეჯიბრებამდე ერთხელ შეხვედრიან. შარშანდელ მატჩში გაიმარჯვა ჩვენმა გუნდმა ანგარიშით 8:5.

გუშინ საღამოს საქართველოს ნაკრები კუბაში გაფრინდა, სადაც შეხვდება მასპინძელი ქვეყნის პირველ ნაკრებს.

— ვფიქრობთ, ამ შეხვედრაში კუბელ სპორტსმენებს მეტი შანსი აქვთ წარმატებისა, — განაცხადეს ჩვენთან საუბარში კუბის მეორე ნაკრების მწვრთნელებმა ოსკარ ფერნენდეს ალკერმა და კარლოს ფერნენდეს კერერამ. — სპეციალისტთა აზრით, კუბის ნაკრები მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში შედის. მსოფლიო ჩემპიონატებსა და მსოფლიო თასის გათამაშებაში იგი საუკეთესოთა ექვსეულში ხვდება. ამიტომ თქვენს გუნდს მძიმე ბრძოლა ელის.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ საქართველოს ნაკრები ოთხჯერ შეხვედრია კუბის პირველ ნაკრებს და, თუ აგებდა, მცირე სხვაობით. ერთი მატჩი მან მოიგო კიდეც — 9:5. ასე რომ, ჩვენც გვაქვს საფუძველი, წარმატების იმედი ვიქონიოთ.

• • •

გუშინ სხვა მატჩები ასე დამთავრდა: საბჭოთა კავშირი — რუმინეთი 14:6, კუბა — ბულგარეთი 9:9.

ინფორმაცია

წინ არიან საბჭოთა მრბოლელები

მშვიდობის ველორბოლის მერვე ეტაპი საბჭოთა მრბოლელთა ორმაგი წარმატებით დაგვირგვინდა. 161-კილომეტრიანი მარშრუტი ტრუტნოვიდან (ჩეხოსლოვაკია) კარპაჩამდე (პოლონეთი) ყველაზე სწრაფად გადალახა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა სერგეი სუხორუჩენკოვმა, ხოლო საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში. გამარჯვებულის შედეგია 4 საათი, 15 წუთი და 28 წამი. სუხორუჩენკოვმა არა მარტო დაამტკიცა, რომ სამართლიანად მიეკუთვნა „მთის მეფის“ ტიტული, არამედ რვა ეტაპის ჯამში პირად ჩათვლაში დაწინაურდა კიდეც. ბულგარელ ნენჩო სტაიკოვს მან 5 წამით გაუსწრო. მესამე ადგილზეა რიგელი პიოტრ უგრიუმოვი.

გუნდურ ჩათვლაში კვლავ საბჭოთა გუნდი ლიდერობს.

ველორბოლა დამთავრდება 21 მაისს ვარშავაში.

პირველი ჩემპიონები

კრასნოიარსკში, სპორტის სასახლე „ენისეის“ სამ ხალიჩაზე გრძელდება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი. განაწილდა პირველი ოქროს მედლები — გაიმარჯვეს ევროპის 1982 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, იაკუტსკელმა ვასილი გოგოლევმა (48 კგ-მდე), ბაქოელმა ჰალილ მამედიაროვმა (62 კგ-მდე) და კონტინენტის ჩემპიონმა, მინსკელმა ვახა ევლოევმა (90 კგ-მდე). სამივემ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელი.

ტურნირში მონაწილეობს თითქმის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელი 224 ათლეტი.

რეკორდები მიტიშჩის სარბიელზე

მიტიშჩის სასროლეთზე გრძელდება ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზებზე. 18 მაისს გათამაშდა ჯილდოების ოთხი კომპლექტი.

ტაშკენტელ სერგეი ივანენკოს ნებისმიერი მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლილა სროლაში არც ერთი შეცდომა არ დაუშვია: 600 ქულა 600 შესაძლებლიდან. ამით მან გაიმეორა მსოფლიო რეკორდი, ხოლო ოლიმპიურ რეკორდს ქულით გადააჭარბა.

ქალთა შორის ამავე ვარჯიშში პირველი იყო ლვოველი ლესია ლესკივი — 599. მისი შედეგი ქულით აღემატება მსოფლიო რეკორდს.

ნინო გურიელი:
„ქართველი მოჭადრაკეები ოლიმპზე რჩებიან“

მოჭადრაკე ქალთა IX საერთაშორისო ტურნირი ისტორიის კუთვნილება გახდა, სპეციალისტები და ჭადრაკის მოყვარულნი კი კიდევ ბევრჯერ გაანალიზებენ აქ ნათამაშებ არაერთ მართლაცდა დიდოსტატურ პარტიას, გაიხსენებენ ტურნირის პერიპეტიებს, გამორჩეულად დაძაბულ ბრძოლას გამარჯვებულის საპატიო ტიტულისათვის.

ნინო გურიელმა კიდევ ერთხელ გაახარა თავისი გულშემატკივრები — იშვიათად ძლიერი შემადგენლობის ტურნირში მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო მაია ჩიბურდანიძესა და მარია ივანკასთან ერთად.

● დიდ საჭადრაკო შეჯიბრებებში მონაწილეობა თქვენთვის უცხო ხილი არ არის, მაგრამ, როგორც მის ყველა მონაწილეს, თბილისის ტურნირმა ალბათ თქვენც დიდი გამოცდილება შეგძინათ.

— ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ქალთა ჭადრაკის ისტორიას თითქმის არ ახსოვს ასეთი დიდი ტურნირი — მხედველობაში მაქვს მისი უძლიერესი შემადგენლობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონი, ექსჩემპიონი და დასავლეთის საჭადრაკო წრეებში ამჟამად ძალზე პოპულარული კრამლინგი; მათთვის კი — ალბათ ის, რომ ტურნირმა მსოფლიოს თითქმის ყველა დანარჩენ ძლიერ მოჭადრაკესაც მოუყარა თავი.

● რას იტყვით საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეების შესახებ?

— იმის გამო, რომ ტურნირი უმაღლესი კატეგორიისა გამოვიდა, ამ შეჯიბრებაში გამარჯვება დიდად საპატიო იყო. ნონამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მის ბრწყინვალებას ყავლი არ გასვლია და რომ იგი კვლავაც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ რჩება. საგულისხმოდ მეჩვენება ივანკას წარმატება — ჩვენთვის ის კარგა ხანს ანგარიშგასაწევი მეტოქე იქნება. მაია ჩიბურდანიძე მისთვის შეუფერებლად გამოვიდა. მართალია, მაიას დიდი მატჩი ელის ლევიტინასთან და შესაძლოა ტურნირში ეს დაუძაბავი თამაში ამით იყო გამოწვეული — სხვას რას უნდა მიეწეროს მისი ათი ყაიმი — მაგრამ, ვფიქრობ, იგივე მატჩი საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვს. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემპიონის „საჭადრაკო სამზარეულოს“ საიდუმლოა და ვინმეს ჩარევა ან თუნდაც შორიდან განსჯა ძალიან ძნელია. წარუმატებელი სტარტის შემდეგ ჩინებულად ითამაშა ნანა იოსელიანმა. მის მიერ დაკავებული მეორე ადგილი შთამბეჭდავი და, რაც მთავარია, სავსებით დამსახურებული იყო. თუ უხერხული არ იქნება, ორ სიტყვას ჩემზეც ვიტყვი: სპორტული შედეგით უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ ორი, თითქმის მოგებული პარტიის ყაიმით დამთავრებამ ქულა და უფრო მაღალი ადგილისთვის ბრძოლის შანსი დამაკარგვინა. ახმილოვსკაიასთან ორი ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია მქონდა, თანაც ჩემი მეტოქე ცაიტნოტში იყო, ლაზარევიჩთან კი თითქმის ყველა გზას გამარჯვებისკენ მივყავდი, მაგრამ მაინცდამაინც ყველაზე ცუდი გზა ავირჩიე...

● ყველა დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილს ახლავს სპორტსმენის კიდევ რაღაც მოლოდინი თუ ინტერესი. მერე ეს მოლოდინი ან მართლდება, ან, პირიქით, — ცრუვდება. თქვენთვის რა იყო ამ ტურნირში საინტერესო და დაიკმაყოფილეთ თუ არა ცნობისმოყვარეობა?

— ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, კრამლინგის თამაში მაინტერესებდა. ასევე იყვნენ ალბათ სხვებიც, რადგან ყველამ იცის, რომ შვედი დიდოსტატი უმეტესად ვაჟთა ტურნირებში გამოდის. ვერც გაამტყუნებ — მის სამშობლოში ქალთა ჭადრაკი თითქმის არ არსებობს. თქმა არ უნდა, პია დიდი პოტენციის მოჭადრაკეა და მისი სპორტული მომავალი უფრო საინტერესოა, ვიდრე დღევანდელობა, მაგრამ უძლეველი რომ არ არის, ეს ამ ტურნირშიც გამოჩნდა. მე მასთან პირველსავე ტურში წავაგე. კვეხნაში ნურავინ ჩამომართმევს და, ცოტა გვიან რომ შევხვედროდი, პარტიაც იქნებ სხვა შედეგით დამთავრებულიყო. საქმე ის არის, რომ თბილისში ჩამოსვლამდე კრამლინგს უზარმაზარ რეკლამას უწევდნენ და მე უფრო ფსიქოლოგიურად დავმარცხდი. საერთოდ, როგორც უკვე ვთქვი, კრამლინგის დამარცხება შეიძლება, თუმცა, ეს სრულებით არ ამცირებს მის დიდ შანსს მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ციკლში. მანამდე კი საჭადრაკო ოლიმპზე კვლავ ქართველი ქალები რჩებიან.

● ტურნირზე თქვენს მიერ ნათამაშები რომელი პარტია მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

— საპრიზო ადგილზე გასასვლელად ბოლო ტურში მოგება მჭირდებოდა. ვიზეს ვხვდებოდი. პარტია ცხრა საათს გაგრძელდა. ორი ეტლი მყავდა მეტოქის ლაზიერის წინააღმდეგ. როგორც ამბობენ, ლამაზად მოვუგე. მგონი კარგად ვითამაშე იოსელიანთან და მურეშანთან.

თბილისის ტურნირამდე იერის ტურნირში ვმონაწილეობდი და სულ ერთი კვირის ჩამოსული ვიყავი. რა თქმა უნდა, საგანგებოდ მომზადება ვერ მოვასწარი. მადლობელი ვარ იური ჩიქოვანისა, რომელიც დიდად დამეხმარა გადადებული პარტიების გარჩევაში, მადლობას მოვახსენებ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს, ასეთი სანიმუშო პირობები რომ შეგვიქმნა თამაშისა და დასვენებისთვის.

● როგორია თქვენი სამერმისო გეგმები?

— მომავალი წლის იანვარში ვითამაშებ ზონალურ ტურნირში, რომელიც ჩერნიგოვში გაიმართება. იქ გამარჯვება საზონათშორისო ტურნირის საგზურს იძლევა. მანამდე კი მინდა მონაწილეობა მივიღო სოჭისა და ერთ-ერთი ქვეყნის — ბულგარეთის ან რუმინეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირებში.

ინტერვიუ აიღო
ნანა ჯოხარიძემ.

ინტერვიუ

ტურნირების ექო

ინტერვიუ

მირონ ბარამია აღიარებული ავტორიტეტია მსოფლიო ველოსპორტში. 1972 წელს იგი საერთაშორისო კომისარი გახდა, 1978 წელს კი — ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომისიის წევრი. მირონ ბარამია ხშირადაა უცხოეთში და, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ესწრება თითქმის ყველა მნიშვნელოვან ასპარეზობას. ხუთ წელიწადს მუშაობდა ალჟირში სპორტის სამინისტროს ტექნიკური მრჩევლის თანამდებობაზე. ამ დღეებში იგი თავკაცობდა „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის“ გათამაშებას. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ „ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა ცნობილ სპეციალისტს და სთხოვა პასუხები გაეცა შეკითხვებზე.

კომისარი აზრებს გვიზიარებს

● როგორია საერთაშორისო კომისრის აზრი თბილისის ტურნირზე?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ასეთ ძლიერ შემადგენლობას არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში არ მოუყრია თავი. ამიტომაც „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის“ გათამაშებას უმაღლესი კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ.

● რა მისია აკისრიათ, თქვენი აზრით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს თანამედროვე ველოსპორტში?

— თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ ამ ქვეყნის სპრინტერთა გამოსვლები თბილისში. ეს ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. მსოფლიო სპრინტში დღესდღეობით მხოლოდ ორი რეალური ძალაა — საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ ამ ქვეყნებში ველოსიპედისტთა მომზადება, ჩემი აზრით, სხვადასხვა მიმართულებით ხდება. განსხვავებაც, უფრო სწორად, სტილის თავისებურებანიც სწორედ აქედან მოდის.

● რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს განსხვავება?

— გერმანელებს ჰყავთ სპრინტერთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, ამიტომ მათთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ლიდერის შერჩევას. ლიდერი რომ შეარჩიო, წლის დასაწყისშივე გუნდის ყველა წევრი ფორმაში უნდა იყოს. გარკვეულ მომენტში გერმანელ ველოსიპედისტთა მომზადების დონე უსათუოდ დაეცემა. ეს მათ ნავარაუდევი აქვთ. ახალი აღმავლობა დაიწყება, სადღაც, ზაფხულის მიწურულს და შემოდგომის დამდეგისათვის, სწორედ მაშინ, როცა საერთაშორისო კავშირი თითქმის ყველა მნიშვნელოვან ტურნირს ატარებს. ჰესლიჰის უდავო წარმატება თბილისში, მისი ფენომენალური რეკორდი ორასმეტრიან დისტანციაზე სწორედ იმის დადასტურებაა, რომ ამ ქვეყნის სპრინტერებმა სხვებზე ადრე მიაღწიეს სპორტული ფორმის პიკს.

● რატომ არ ემზადებიან იმავე წესით საბჭოთა სპრინტერები?

— ჩვენ, სამწუხაროდ, არაფერი გვაქვს ასარჩევი. არის ერთი ლიდერი — სერგეი კოპილოვი, რომელიც მუდამ კონკრეტული შეჯიბრებისთვის ემზადება. ამ შეჯიბრების დრო ჯერ არ დამდგარა. ესე იგი, თბილისში კოპილოვი საუკეთესო ფორმაში არ იყო. მისი წარუმატებლობაც სწორედ ამით უნდა ავხსნათ.

● როგორ ფიქრობთ, ვინ გაუწევს უახლოეს პერიოდში მეტოქეობას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპრინტერებს?

— პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების ველოსიპედისტები. მე მხედველობაში მყავს ამ გუნდის ყველა წევრი და განსაკუთრებით 24 წლის მარკ გორსკი, რომელიც შარშანდლამდე არ წარმოადგენდა დიდ ძალას მსოფლიო ველოსპორტში, ერთ წელიწადში კი შესანიშნავ შედეგს მიაღწია. ძლიერი გუნდი ჰყავს ჩეხოსლოვაკიასაც, მაგრამ უახლოეს მომავალში მას მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი ექნება განკუთვნილი.

● რატომ აღარ ჩანან დიდ სარბიელზე ფრანგი, იტალიელი და ბელგიელი სპრინტერები? იყო დრო, სწორედ ისინი ფლობდნენ მონოპოლიურ უფლებებს მსოფლიო ველოსპორტში.

— დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, პირველ ყოვლისა კი საფრანგეთში, იტალიასა და ბელგიაში სამოყვარულო ველოსპორტი ყელამდეა ჩაფლული პროფესიონალიზმის ჭაობში. ახალგაზრდა სპორტსმენი აღარ მიდის ტრეკზე სავარჯიშოდ. იგი თავიდანვე გზატკეცილზე იწყებს წვრთნას იმის ვარაუდით, რომ თუ ივარგა და თავი გამოიჩინა, მაშინვე პროფესიონალებში გადავიდეს. დანიელ მორელონის მსგავსი ენთუზიასტების დრო კარგა ხანია წავიდა. ახლა ველოსპორტში პრაქტიკული ახალგაზრდები მოვიდნენ, რომლებიც სპორტში ყველა წვრილმანს სარგებლიანობის პოზიციით ზომავენ.

● ნუთუ არ აფიქრებთ ეს მდგომარეობა დასავლეთის სამოყვარულო ველოსპორტის მესვეურთ?

— აფიქრებთ, როგორ არ აფიქრებთ და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამენ. პარიზში, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ დახურული ველოდრომი ააგეს. ფიქრობენ, რომ ეს ხელს შეუწყობს სატრეკო ველოსპორტის განვითარებას. მილანის ცნობილ „ვიგორელიზე“ ამჟამად მხოლოდ ძაღლების დოღი იმართება. სამაგიეროდ, ორი წლის წინ მწყობრში ჩადგა ახალი, კომფორტაბელური ველოტრეკი, რომელმაც, სპეციალისტთა აზრით, უნდა გამოაცოცხლოს მუშაობა. თბილისში სტუმრობის დროს ედი მერქსმა მითხრა, ბელგიაშიც ასეთივე მდგომარეობააო. გამოსავალი, როგორც ჩანს, ერთია — ახალგაზრდები ახლავე უნდა გამოჰგლიჯონ პროფესიული სპორტის მარწუხებს.

● ისევ ჩვენს ტურნირს დავუბრუნდეთ. რას იტყვით ორასმეტრიან დისტანციაზე ნაჩვენებ შედეგებზე?

— სატრეკო ველოსპორტის ამ სახეობაზე მე ჩემი მოსაზრება მაქვს. მაქსიმალურ სისწრაფეს სპრინტში, როგორც ცნობილია, ველოსიპედისტი ბოლო ორას მეტრზე ავითარებს, ამიტომ გიტი ამავე დისტანციაზე, ჩემი აზრით, სპრინტერთა შეჯიბრების თავისებური პროლოგი უნდა იყოს. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო გონივრულად და ობიექტურად შევადგინოთ სპრინტერთა წყვილები. თბილისის ტურნირის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ გიტის შედეგები თითქმის იდენტური იყო სპრინტერთა საბოლოო მაჩვენებლებისა. კოპილოვის მეოთხე შედეგი გიტში იმას ნიშნავდა, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სპრინტში გამარჯვებისთვის საკმარისი სამყოფი სისწრაფე. და ასეც მოხდა — იგი იქაც და აქაც მეოთხე იყო. ჩემს მოსაზრებას, რომ სპრინტერთა ტურნირს წინ უსწრებდეს ასპარეზობა ორასმეტრიან დისტანციაზე, მომხრე მეტი ჰყავს, ვიდრე მოწინააღმდეგე. ვნახოთ, როგორ პოზიციას დაიკავებს ველოსპორტის საკავშირო ფედერაცია.

● ჩვენს საუბარს ფასი არ ექნება ალბათ, თუ გვერდს ავუვლით საქართველოს სპრინტერებს და ერთ-ორ სიტყვას არ ვიტყვით მათზე.

— გულდაჯერებით შემიძლია ვთქვა, რომ ახალგაზრდობა კარგი გვყავს. ეს შეეხება ალექსანდრე სხირტლაძესაც და მამუკა ხუციანიძესაც, აკაკი გეგენავასაც და გიორგი მუმლაძესაც. მაგრამ მათ დაოსტატებას დრო სჭირდება, დიდი დრო და მუყაითი შრომა. ემზარ გელაშვილზე მეტ იმედებს ვამყარებდით, განსაკუთრებით ზამთრის შეჯიბრების მერე, სადაც ის მეორე იყო კოპილოვის შემდეგ, მაგრამ თბილისის სტარტებამდე მთელი თვე ავადმყოფობა და ფორმაც დაკარგა. ეს ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენით, როცა ემზარმა გიტი მეთექვსმეტე შედეგით დაამთავრა. ოთარ მჭედლიშვილი ნაკრებში მოხვდა იმ გახმაურებული მსოფლიო რეკორდის შემდეგ. მაგრამ იგი ახალგაზრდაა, არა აქვს საკმარისი გამოცდილება და ბევრ ტაქტიკურ შეცდომას უშვებს. გიტში რომ მეშვიდე შედეგი ჰქონდა, ამას უფრო მის ნიჭს, ბუნებრივ მონაცემებს უნდა ვუმადლოდეთ, აგვისტოში იგი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს. ეს შეჯიბრება მჭედლიშვილისთვის კარგი სკოლა იქნება.

● დასასრულ ერთი შეკითხვა: რა შთაბეჭდილებები გაჰყვათ ჩვენი ქალაქიდან საბჭოთა და უცხოელ ველოსიპედისტებს?

— „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშება“ ფაქტიურად უნაკლოდ ჩატარდა. ეს სტუმრების აზრია. ამიტომაც მე, როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, მადლობა უნდა გადავუხადო საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტს ველოსპორტის ასეთი თანმიმდევრული პოპულარიზაციისათვის, თბილისის ველოტრეკის ადმინისტრაციას — შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისათვის, ჩვენს თბილისელ არბიტრებს — მაღალკვალიფიციური და ობიექტური მსაჯობისათვის და კიდევ საქართველოს სპორტკომიტეტის სამშენებლო ორგანიზაციას, რომელმაც უმოკლეს დროში თბილისის ველოტრეკი სრულ წესრიგში მოიყვანა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი შეჯიბრება ნებისმიერ მსოფლიო ჩემპიონატს, ან, თუ გნებავთ, ოლიმპიურ ტურნირს, დაამშვენებდა.

ჟამი ფიქრისა ჟამი განსჯისა

საბჭოთა კავშირის 1984 წლის საფეხბურთო ჩემპიონატმა, კალენდრის შესაბამისად, სტარტი 10 მარტს აიღო. ამ დღეს, როგორც წესი და რიგია, გაიმართა პირველი ტურის მატჩები. ეს ყველამ კარგად ვიცით.

მაგრამ ასეთივე „სტარტი“, ფაქტიურად, 29 აპრილსაც გამეორდა, როცა საკავშირო ჩემპიონატის VI და VII ჩემპიონატებს შორის მოეწყო წინასწარ გაუთვალისწინებელი, დაუგეგმავი ორკვირიანი ანტრაქტი, ახლა კი, IX ტურის შემდეგ, რომლის მატჩები 7 მაისს გაიმართა, გუნდები კვლავ შეახვენეს, X ტურის შეხვედრები გადაიტანეს თვეზე მეტი ხნით და ჩემპიონატი ხელახლა განაახლეს 19 მაისს. ეს უკვე მესამე სტარტია.

ვინ, სად და როდის?

მესამე სტარტი...

ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მატჩის გადატანა რაა იოლი საქმე. ყოველი გუნ- ი ჯერ კიდევ ზამთარში, ადრეუ- ი წინასასეზონო მზადების პე- იოდში გულდასმით ეცნობა სე- ონის განრიგს, პირველობის, ასისა და საერთაშორისო შეხ- ედრათა კალენდრებს და, შესა- ამისად ამისა, საკუთარ გრაფი- საც ადგენს: ითვალისწინებს ინ- ენსიური წვრთნის, საკონტრო- ო და ოფიციალური მატჩების ერიოდებს, მწვრთნელები ცდი- ობენ თავიანთი გუნდების მზა- ების ეტაპები რაციონალურად

ეხამონ ყველასთვის სავალდებუ- ო კანონს — კალენდარს, რეგუ- ლარულ მგზავრობას ქალაქიდან ლაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში, იმატიზაციას და ა. შ.

მაგრამ მერე დირექტიული ესით მოდის მნიშვნელოვანი ხა- ითის, საფუძვლიანი კორექტი- ები და მწვრთნელები იძულე- ლი ხდებიან სახელდახელოდ, ნა- რევად შეასწორონ და მოაწე- იგონ თავიანთი რთული საწვრ- ლ-საშეჯიბრებო მეურნეობა.

ორექტივი მუდამ შეიძლება მო- ს, ამისგან დაზღვეული არავი- საფეხბურთო ცხოვრებას დაუ- ელი კანონებიც აქვს. შეიძლე- ადრევე რიგიანად ვერ გაით- ლისწინო ყველა მოსალოდნელი ება, ყოველ სეზონს ხშირად ახლავს პრობლემები და მოუ- ნელობანი, მაგრამ, როცა შირო ჩემპიონატში ცვლილე- სისტემატურად, გაუთავებ- ხდება, ამგვარი კატაკლიზ- სერიოზულად აფერხებს თნელთა ნორმალურ მუშაო- ფორმიდან გამოჰყავს ფეხ- ელები, გაანგარიშებულ რიტმს ავს გუნდებს და, რა დასა- ა, გულშემატკივრებსაც კა- მაგრად უშლის ნერვებს.

ობ, ამაზე კრინტიც არ და- ი, მაგრამ გაგვათამამა ცენტ- ურ პრესაში, კერძოდ, გაზეთ სტიაში“ არაერთგზის გამოთ- მა სამართლიანმა კრიტიკულ- შენიშვნებმა. იქ, „იზვესტია- ალად უყურებენ კალენდრის ორე „მეტამორფოზების“ მა- ობას და საკმაოდ არაორა- ანი ტონით გვამცნობენ ხო- — აჰა, ხედავთ, კალენდარში ცვლილებებიაო. ამ გაზეთ- ველი თვის დასაწყისში აქ- ებენ უმაღლესი ლიგის გუნ- განრიგს, მერე კი, სხვათა ვათა მიზეზთა გამო, ბო- მოხდა უწევთ: ჩვენ სხვე- აგვაცდინეს, ჩვენ კი —

ახლახან, საკდესის ფეხ- ის მიმომხილველი ლ. ფი- ი, წერდა:

უხაროა, რომ სსრ კავში- პორტკომიტეტის ფეხბურ- სამმართველოს თანამშრომ- კვლავ უხეში შეცდომები დაუშვეს ჩემპიონატის კალენდრის შედგენისას, რის გამოც ორი ტური მაისიდან ივნისისთვის გადაიტანეს. ერთი შეხედვით, საქმე თითქოს შეიძლება გამოსწორდეს, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში, როცა გუნდები ესესაა უნდა შევიდნენ ფორმაში, როცა უნდა გაძლიერდეს მათი თამაში, ამ გაუთვალისწინებელმა პაუზებმა შეუძლებელია უკვალოდ ჩაიაროს. ასეთი შესვენებები აფერხებს აღებულ ტემპს, არარაობად იქცევა თამაშებისა და წვრთნის იმ რეჟიმის „მეცნიერული დასაბუთება“, რომლის განუხრელად გატარებისათვის (მარტოოდენ სიტყვით და არა ნამდვილი საქმით) ამდენს ქადაგებს თვით სამმართველო“.

ძნელია არ დაეთანხმო ლ. ფილატოვსაც, საკდესსაც, „იზვესტიასაც“ და სხვა გაზეთებსაც („კომსომოლსკაია პრავდა“, „ტრუდი“, „სოვეტსკაია როსია“).

ლიტონ განცხადებად რომ არ დარჩეს ზემოთ მოყვანილი ციტატაც და ცენტრალური პრესის ავტორიტეტიც, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ფათერაკებით აღსავსე წლევანდელი საკავშირო კალენდრიდან:

III ტურში, 22 მარტს დანიშნული იყო ჩემპიონატის მატჩები „სპარტაკი“ — „ნეფთჩი“, „დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“. მაგრამ კალენდარს იმთავითვე დაურთეს რემარკა — ეს თამაშები სხვა დღეებში ჩატარდებაო.

კალენდარში ჯერ კიდევ მაშინ ეწერა: თუ მოსკოვის „სპარტაკი“ გავიდა უეფა-ს თასის ფინალში, IX ტურის მატჩი „სპარტაკი“ — ცსკა და XII ტურის მატჩი „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ გაიმართება მოგვიანებით, X ტურის მატჩი „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ გადაიდება 14 მაისისთვის, ხოლო XI ტურის მატჩი „სპარტაკსა“ და „ტორპედოს“ შორის შედგება 18 მაისს (?).

ასევე წინასწარ საეგებიოდ ჩართეს VI და VII ტურების მატჩები კალენდარში მინსკის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ მონაწილეობით.

და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა წინასწარ და ზუსტადაა ცნობილი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების, ოლიმპიური ტურნირის, ევროპის საკლუბო გათამაშებათა ყველა, უკლებლივ ყველა მატჩის დროც და ადგილიც, ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრათა გრაფიკიც. საერთაშორისო საფეხბურთო ორგანოები ზუსტად, განუხრელად იცავენ თავიანთ განრიგს, არასოდეს ცვლიან არაფერს.

საკითხავია: რახან ადრევე დანამდვილებით ვიცით, როდის და რა საერთაშორისო შეჯიბრებები გველის, ისიც კარგად ვიცით, რომ იქაურ კალენდარში ცვლილება არ შეიძლება მოხდეს, რატომ არ შეიძლება ჩვენი შინაური კალენდარიც ისე შევადგინოთ, რომ წინასწარვე არ შეგვექმნას საქმე სათუოდ და საეგებიოდ, შენიშვნებით არ ავაჭრელოთ კოხტად გამოცემული და ტიპოგრაფიულად აკინძული პატარა წიგნაკები?

ასე გადაიტანეს წლეულს ის ზემოხსენებული მატჩები და რახან ევროპულ საკლუბო თასებზე შეჯიბრებებში, სამწუხაროდ, ყველა მეოთხედფინალურ წყვილში დავმარცხდით, ამას მოჰყვა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც (მინსკის „დინამო“-„ქაირათი“, „ნეფთჩი“-როსტოვის ასკ, „ზენიტი“-კიევის „დინამო“, „სპარტაკი“ - „ფახთაქორი“, კიევის „დინამო“-„ჩერნომორეცი“).

მაგრამ ეს ცალკეული კორექტივებია. ამას შეურიგდება კაცი, ის კი ნამდვილად დიდ სიძნელეებს ქმნის, რომ ერთიანად მთელი ტური გადაიტანეს 21-22 აპრილიდან 29 აპრილისთვის, 11 მაისისა— 19 ივნისისთვის, 28 მაისისა კი—23 ივნისისთვის. თითქმის ერთი თვით! კაი მოკირკიტე კაცი უნდა იყოს ფეხბურთის გულშემატკივარი, რიგიანად რომ გაერკვეს ამ რთულ ლაბირინთში: ვინ, სად და როდის?

ზოგიერთ გუნდს, რომელიც სერიოზულად ჩამორჩა გარკვეულ პერიოდში, ასეთი დაუგეგმავი შესვენებები, შეიძლება, ხელს აძლევდეს, მაგრამ მათ რა ჰქნან, ვინც წინასწარი გეგმის შესაბამისად ოპტიმალურად გაიანგარიშა ყველა დეტალი, გაითვალისწინა შინ და სტუმრად ჩასატარებელი მატჩების მონაცვლეობა, ხოლო მერე იძულებული გახდა ყირამალა გადაეტრიალებინა ყველაფერი, რაც კი ადრევე დაისახა, და სრულიად დაუმსახურებლად დაკარგა ჯაფით მოპოვებული სპორტული ფორმა?

სხვა გუნდებისას ვერაფერს გეტყვით, თბილისის „დინამოს“ კი 11 და 28 მაისის მატჩების გადატანით საკმაო სიძნელეები შეექმნა. გუნდი ის-ის იყო შედიოდა ფორმაში, გამოასწორა ჩემპიონატის სატურნირო მდგომარეობა და სწორედ მაშინ საძებნელი გაუხდა რამდენადმე მაინც ვარგისი სპარინგ-პარტნიორები, საწვრთნელი მეტოქეები.

19 და 20 მაისს კალენდარში დაგეგმილი იყო XI ტურის მატჩები. რახან 11 მაისის ტური 19 ივნისისთვის გადაიდო, ახლანდელი ტური ფაქტიურად მეთერთმეტე კი არაა, არამედ მეათე. დღეს ჩვენი მეტოქეა დონეცკის „შახტიორი“, რომელმაც ბოლო წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარბიელზე. „შახტიორი“ ახლა უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში მოწინავეთა რიგებშია. 9 თამაშის შემდეგ 12 ქულა აქვს და 3 ქულით უსწრებს თბილისის „დინამოს“. საკმარისია დღეს თბილისელებმა გაიმარჯვონ და ეს სხვაობა მინიმუმამდე შემცირდება, ეს კი ჩვენს გუნდს სადღეისო კონკრეტულ, აუცილებელ ამოცანას უსახავს.

დაბოლოს, სიტყვა მივცეთ სტატისტიკას: საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამომ“ დონეცკელებთან მოიგო 27 მატჩი. 17 წააგო და 22 ფრედ დაამთავრა. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება დადებითია—102:82.

ახლა, რახან ამდენი ვილაპარაკეთ. კვლავ კალენდრის შესახებ: თუ ღმერთმა ქნა და განრიგი ხელახლა არ შეიცვალა, თბილისის „დინამო“ 24 მაისს ვილნიუსში ითამაშებს „ჟალგირისთან“, 10 ივნისს მინსკში — „დინამოსთან“, 15 ივნისს უმასპინძლებს მოსკოვის არმიელებს, 19 ივნისს დნეპროპეტროვსკში შეხვდება „დნეპრს“ და 23 ივნისს მიიღებს ლენინგრადის „ზენიტს“.

„ლელოს“ მიმომხილველი.

„ტყავის ბურთის“ იუბილე

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1964 წელს ჩამოაყალიბა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო კლუბი „ტყავის ბურთი“ და მას შემდეგ ამ კლუბის შეჯიბრებებმა დიდი პოპულარობა ჰპოვა ჩვენს ბავშვებში. ახლა „ტყავის ბურთის“ კლუბი აერთიანებს 4 მილიონამდე ნორჩ ფეხბურთელს, ათეულ ათასობით ქუჩების, ეზოებისა და სკოლების გუნდს.

განვლილი 20 წლის მანძილზე კლუბმა მყარი ტრადიციები შექმნა, სწორედ ამ შეჯიბრებებში აღიზარდნენ ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატები რ. დასაევი, ვ. ბესონოვი, ა. დემიანენკო, ს. ბალტაჩა, ფ. ჩერენკოვი, ა. ტარხანოვი, ხ. ოვანესიანი, რ. შენგელია, ვ. გუცაევი და მრავალი სხვა.

დღიდან კლუბის შექმნისა მას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ სუშკოვი, ახლა კი პრეზიდენტად აირჩიეს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გავრილ კაჩალინი. 18 მაისს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა „ტყავის ბურთის“ საკავშირო კლუბის ცენტრალური შტაბის სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა გ. კაჩალინი. სხდომის მონაწილეებს მიესალმა საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე, მოსკოვის არმიელთა გუნდის კაპიტანი ა. ტარხანოვი, რსფსრ-ის დამსახურებული არტისტები ნ. გუნდარევა და ა. მარტინოვი, მოსკოვის ნორჩი ფეხბურთელები. კლუბის აქტიურ წევრებს გადასცეს კომკავშირული საჩუქრები.

მოეწყო „ტყავის ბურთის“ კლუბის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საქალაქო შტაბების თავმჯდომარეთა სასწავლო სემინარი, სადაც შეიმუშავეს წლევანდელ შეჯიბრებათა გეგმები.

II ლიგა

18 მაისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩები.

„მერცხალი“ (მახარაძე) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0 (1:0)

პირველ 15 წუთს მინდორზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, შემდგომ კი თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა, თამაშში ჩაება „მეშახტის“ მეკარე თოდაძე. მახარაძელები დიდხანს უშედეგოდ უტევდნენ და მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთზე შეძლო მერეჩკომ ბურთის გატანა — 1:0.

„მერცხლის“ უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო შესვენების შემდეგ. 57-ე წუთზე თოფურიძემ მეორედ აიღო სტუმრების კარი.

მცირე ხნის შემდეგ ტყიბულელებს შეეძლოთ შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ფანჩულიძემ სულ რამდენიმე მეტრიდან ააცდინა ბურთი კარს.

ვალერიან შავიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ლოკომოტივი“ (სამტრედია)— „კოტაიკი“ (აბოვიანი) 3:1 (1:0)

სამტრედიისა და აბოვიანის გუნდები ბოლო წლებში ტრადიციული მეტოქეები არიან. მათი ყოველი შეხვედრა უშეღავათო და დაძაბულია. გამონაკლისი არც ეს მატჩი იყო. მიუხედავად მეტოქის მედგარი წინააღმდეგობისა, სამტრედიელებმა საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს ტაიმი და 42-ე წუთზე როსტობაიამ ზუსტი დარტყმით დაამთავრა გერაძის მიერ წამოწყებული კომბინაცია — 1:0.

„კოტაიკი“ შესვენების შემდეგ მთელი ძალით თამაშობდა. მაგრამ ვერ შეძლო ლოკომოტიველთა დაცვის დაძლევა, სამაგიეროდ მასპინძლებმა მოიგერიეს მეტოქის იერიშები და ლ. თვალაბეიშვილმა 74-ე და 83-ე წუთებზე ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი — 3:0.

მხოლოდ მატჩის დასასრულს, 89-ე წუთზე, თორმანიანმა შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

ანზორ სირაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.)

„დილა“ (გორი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:1 (2:1)

გორელ ფეხბურთელთა ტერიტორიული უპირატესობა მატჩის დასაწყისშივე გამოიკვეთა. ამიტომ „შირაკმა“ პირველ ტაიმში გააძლიერა დაცვა და იშვიათი, მაგრამ მწვავე კონტრშეტევები აირჩია. სწორედ ამ მანევრის შემდეგ გაიჭრა წინ ავეტისიანი, თითქმის პირისპირ დარჩა „დილას“ მეკარე ჩოჩიევთან და გოლით დაამთავრა გარღვევა — 1:0. ეს მოხდა მე-16 წუთზე.

„დილამ“ ახალი ძალით შეუტია მეტოქეს, განსაკუთრებით კარგად მოქმედებდა იერიშის დროს ტიტვინიძისა და ზაალიშვილის წყვილი. 28-ე წუთზე ზაალიშვილმა კარგად გადააწოდა ტიტვინიძეს და ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

გორელები კვლავ თითქმის მთელი შემადგენლობით უტევდნენ, 41-ე წუთზე „შირაკის“ მცველებმა თავიანთი საჯარიმო მოედანზე დაარღვიეს წესი, დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა თორლაშვილმა — 2:1.

ლენინაკანელებმა მეორე ტაიმში გააძლიერეს თამაში. დიდი ჯაფა დაადგათ გორელთა მცველებს და მეკარე ჩოჩიევს, მაგრამ მათ მეტოქის ყველა შეტევა მოიგერიეს, „დილამ“ შეინარჩუნა მოგება.

ილია თევდორაშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

18 მაისს თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ II ლიგის IX ზონის გუნდები — თბილისის „ლოკომოტივი“ და სოხუმის „დინამო“.

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშის მომენტი.
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.

ელვა-ინფორმაცია

იტალია...
გადაწყვიტა ფიფა-მ

ფეხბურთში მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების, როგორც ცნობილია, ორი ქვეყანა ეცილებოდა ერთმანეთს — საბჭოთა კავშირი და იტალია. და აი გუშინ ციურიხში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაში, გაიმართა ფიფა-ს აღმასკომის სხდომა. საბჭოთა კავშირისა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენელთა მოხსენებებისა და ამ ქვეყნების სტადიონების შესახებ საგანგებო ფილმების ჩვენების შემდეგ გაიმართა წილისყრის ცერემონია (ფიფა-ს აღმასკომის 21 წევრის მონაწილეობით). ხმების უმრავლესობით ფეხბურთში მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის მასპინძლად დასახელებულია იტალია — მსოფლიოს ბოლო ჩემპიონის სამშობლო (იგი ტურნირში შესარჩევი მატჩების გარეშე გამოვა, როგორც პირველობის ორგანიზატორი). მატჩები ჩატარდება იტალიის საუკეთესო სტადიონებზე — რომში, მილანში, ფლორენციაში, ტურინში, პალერმოში, ნეაპოლში, ვერონაში, უდინეში, პერუჯაში, ასკოლიში, კალიარიში, ბარიში, გენუაში.

მაღლესი ლიგა

ინ განახლდა სსრ კავშირის მპიონატი ფეხბურთში. გაიმ- მორიგი ტურის 4 მატჩი:

რატი“
ნეპრი“ — 1:3.
თჩი“ —
მბალისტი“ — 2:0.
თაქორი“ —
აირათი“ — 1:1.
ნამო“ მ. —
ა — 0:1

დუბლიორთა მატჩი

გუშინ გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის კალენდარული მატჩი.

მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ—2:2, თბილისელთაგან ორივე ბურთი გაიტანა გურულმა. შესვენების შემდეგ გოგრიჭიანმა დააწინაურა თავისი გუნდი. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

თბილისელთა შემადგენლობა: ბალაძე, სვანაძე, თევზაძე, უკლება, ბარათაშვილი (ამბიძე), სიჭინავა, ცხოვრებაშვილი, ქოჩქიანი, გურული, ქვანია (გოგრიჭიანი), ჩქარეული (კაციტაძე).

ასპარეზობა მოტოსპორტის სხვადასხვა სახეობაში მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ სისწრაფის მოყვარულთა ყურადღებას ყველაზე მეტად მაინც საგზატკეცილო წრიული რბოლები იქცევს ხოლმე.

გუშინ დოსააფის რესპუბლიკური სპორტული ბაზის სარბიელზე (რუსთავის გზატკეცილის 21-ე კმ) დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები. თუ წინასწარი სტარტების მიხედვით ვიმსჯელებდით, მოსალოდნელი იყო ახალბედა სპორტსმენთა აქტური ჩარევა ლიდერთა ბრძოლაში. მაგრამ შეჯიბრების მსვლელობაში ვეტერანთა გამოცდილება გადამწყვეტი გამოდგა. შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულნი, თითქოს პირი შეკრესო, ერთად ჩაუდგნენ სათავეში რბოლას. ასე რომ, თბილისის ეტაპი უძლიერესთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. 125 კბ/სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლების კლასში („ბ"), სადაც ყველაზე ავტორიტეტულმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, გაიმარჯვა ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონმა, ესტონელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ლემბიტ ტეესალუმ.

175 კბ/სმ მოცულობისძრავიანი მანქანების კლასში („ბ") ყველას აჯობა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ლიტველმა კოსტას სავიცკასმა.

ყველაზე „ხალხმრავალ" რბოლაში — 350-იანების კლასში („ბ") საუკეთესო იყო ესტონელი სპორტის ოსტატი სულევ მეტსი.

ქალებში ყველა მეტოქე ჩამოიტოვა გამოცდილმა ესტონელმა სპორტსმენმა, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, 41 წლის სპორტის ოსტატმა ლულე ტულმა.

დღეს სპორტის ამ მიმზიდველი სახეობის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ ნახონ კიდევ რამდენიმე საინტერესო რბოლა. ერთმანეთს შეეჯიბრებიან 50, 250 („ბ"), 350 კბ/სმ მოცულობისძრავიანი და 750-იანი ეტლიანი მოტოციკლებით მოასპარეზე სპორტსმენები.



სურათზე: მორიგ ვირაჟს გადიან 350-იანების კლასში მოასპარეზე მოტომრბოლელები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფეხბურთის დიდი ზეიმი

წლეულს შესრულდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დაარსების 80 წლისთავი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, სადაც ფიფა-ს შტაბ-ბინაა, გაიმართება დიდი საფეხბურთო დღესასწაული.

ჰელმუტ შიონი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ყველაზე პოპულარული და მასობრივი საერთაშორისო სპორტული გაერთიანებაა, რომლის წევრიც არის ხუთივე კონტინენტის 151 ქვეყანა. ხვალ, 21 მაისს, ფიფა-ს 80 წლისთავის აღსანიშნავად ციურიხში გაიმართება დიდი საზეიმო ცერემონიალი და საფეხბურთო სანახაობანი.

ზეიმზე მოიწვიეს ის ადამიანები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ფეხბურთის განვითარებას და ბევრი რამ გააკეთეს ამ თამაშის პოპულარიზაციისთვის მთელს მსოფლიოში. სტუმართა შორის არიან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, 90 წლის ინგლისელი **სტენლი როუზი**. ცნობილი დასავლეთგერმანელი მწვრთნელი **ჰელმუტ შიონი**, გამოჩენილი ფეხბურთელები — ბრაზილიელი **პელე**, დასავლეთგერმანელი **ფრანც ბეკენბაუერი**, ინგლისელი **ბობი ჩარლტონი**, იტალიელი **დინო ძოფი**. ფიფა-ს საზეიმო კონგრესში მონაწილეობისათვის მიიწვიეს, აგრეთვე, სსრ კავშირის საფეხბურთო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვ. კოლოსკოვი და ბ. ტოპორნინი.

პელე

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სადღესასწაულო დღეებში დაგეგმილია სამი საინტერესო მატჩი. გაიმართება თამაში ციურიხელ გულშემატკივართა და ფიფასა და უეფა-ს ფუნქციონერთა ნაკრებ გუნდს შორის, შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან ევროპული ფეხბურთის ვეტერან ვარსკვლავთა გუნდი და მწვრთნელთა და იმ ძველ ფეხბურთელთაგან შემდგარი ნაკრები, რომლებიც საგანგებოდ მიიწვიეს ციურიხის ზეიმზე.

დინო ძოფი

დაბოლოს, ყველაზე საინტერესო: 22 მაისს შედგება ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის განმეორებითი ფინალური მატჩი იტალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის. იმსაჯებს ბრაზილიელი ა. კუელიო, რომელიც ფინალურ მატჩს არბიტრობდა 1982 წლის 11 ივლისს მადრიდში (მაშინ, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს იტალიელებმა — 3:1).

სტენლი როუზი

რამდენიმე სიტყვა იტალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ამ „განმეორებით" ფინალურ მატჩზე: ამ ქვეყნების გუნდებს ერთმანეთთან სულ უთამაშიათ 18-ჯერ, იტალიელებს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ — 10 გამარჯვება, 5 ფრე და 3 წაგება (გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 33:24 მათს სასარგებლოდ).

მსოფლიო ჩემპიონატებზე ეს გუნდები ერთმანეთს სულ ოთხჯერ შეხვდნენ. იტალიელებმა მოიგეს ორი მატჩი და ორიც ფრედ დამთავრდა.

ფრანც ბეკენბაუერი

ბობი ჩარლტონი

დღეს მოსკოვში

ვარშავაში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი პოლონეთისა და საფრანგეთის რეგბისტთა ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს ფრანგებმა ანგარიშით 19:3 და 12 ქულით ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. მათ თითო ქულით ჩამორჩებიან იტალიელები და რუმინელები. დღეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელსაც ჯერჯერობით 7 ქულა აქვს, უმასპინძლებს საფრანგეთის გუნდს. საბჭოთა რეგბისტებმა მოუგეს იტალიელ (16:7) და მაროკოელ (23:9) სპორტსმენებს, მაგრამ დამარცხდნენ რუმინელებთან (3:19).

ჩვენმა რეგბისტებმა უნდა ითამაშო
პოლონელებთანაც. ეს მატჩი 27 მ
ისს გაიმართება ვარშავაში. იმ შე
მთხვევაში, თუ საბჭოთა რეგბისტ
ები ორივე დარჩენილ მატჩს მო
იგებენ, ისინი ევროპის ჩემპიონებ
გახდებიან (რეგბიში მოგებისათვ
გუნდს სამი ქულა ეწერება, ფრ
ორ ქულას ნიშნავს, წაგება —
ერთს).

**გათამაშების ცხრილში რეგბისტ
კოლექტივები ასე არიან განლაგ
ულნი:**

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
საფრანგეთი	4	4	0	0	128-44
იტალია	5	3	0	2	68-57
რუმინეთი	5	3	0	2	74-41
სსრკ	3	2	0	1	42-35
პოლონეთი	4	1	0	3	10-62
მაროკო	5	0	0	5	25-108

გორგოლაჭიან
დაფის დებიუტ

**ეწვიეთ სკეიტბორდისტთა ა
რეზობას. დარწმუნებული ვ
კმაყოფილი დარჩებით!**

ვის არ შეუმჩნევია ქალაქის
ჩებში გორგოლაჭებიანი და
მოსრიალე გოგონები და ბიჭ
თუმცა, რატომ მაინცდამაინც
გონები და ბიჭები. ამ თავისე
ვარჯიშით ხშირად მათზე ბე
უფროსებიც არიან გატაცებ
ზოგიერთი ამგვარი ვარჯიშის
ყვარულებს აჩირებულ ხალხს
ხის, ზოგს ისინი უსაქმურები
ნია, ზოგი, მათი შემხედვარე,
ლად გაიღიმებს, ზოგი კი
დავს და თავადაც მოინდომებს
ალს. დაარქვით, რაც გნებ
გატაცება, გართობა, უბრა
სრიალი. მთავარი ისაა, რომ
მსოფლიოში დიდად პოპულ
ეს სიახლე, რომლის სპორტ
სახელიც სკეიტბორდია, უკვ
ჭოთა კავშირშიც დაინერგა.

თბილისში სპორტის ამ მ
დველ სახეობას ბევრი მიმდ
გამოუჩნდა. სტიქიურად წარ
მნა ჯგუფები, მერე სერიო
საწვრთნელი მეცადინეობებ
იწყო... და აი, დღეს რიყის
ტორიაზე ეწყობა ქალაქის
ლი ღია ჩემპიონატი სკეიტბ

მძლეოსანთა სტარტები

● **მაღალი** შედეგებით აღინიშნა მოდესტოში (აშშ) გამართული სპრინტერთა შეჯიბრება. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა მასპინძელთა წარმომადგენელმა მელ ლეტნიმ — 10,01 წამი. ქალთა შორის ამავე დისტანციაზე გაიმარჯვა ეველინ ეშფორდმა (აშშ) — 10,78 წამი, ხოლო 110 მეტრზე თარჯრბენში საუკეთესო იყო ასევე ამერიკელი კემპბელი — 13,30. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპორტსმენებს საკმაოდ ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა.

● **ჰოლანდიის** და ინგლისის დედაქალაქებში ჩატარდა მარათონელთა ტრადიციული შეჯიბრებები, რომლებშიც მსოფლიოს ბევრი ცნობილი მორბენალი მონაწილეობდა. ამსტერდამის მარათონში თავი გამოიჩინეს მასპინძლებმა, რომლებმაც არავის დაუთმეს პირველი ორი ადგილი. გაიმარჯვა ნაიბურმა — 2:14.28. მეორე შედეგი ჰქონდა ვრინდს — 2:16.54. III ადგილზეა ბულგარელი ნენოვი — 2:17.02. ლონდონში გამართული ასპარეზობაც მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. კარგი შედეგით (2:09,57) გაიმარჯვა სპიდინგმა. II და III ადგილებიც ინგლისელებმა ფორსტერმა (2:11.41) და ფაულზმა (2:12.12) დაიკავეს.

რედაქტორი ა. გოგელ

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესი
ИНДЕКС 66435 გაზეთი კორპუსში, ხოშარაულის. ვბ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07258